



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2014 წლის 25 ივლისის  
№ 1241 დადგენილებით  
მოდულიზირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2018 წლის 2 აპრილის  
№01-05-04/97 დადგენილებით

## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

სამოსის დიზაინი
Garment Design

### ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
Architecture, Urban Planning and Design Faculty

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ლია ლურსმანაშვილი
-----------------------------

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

დიზაინის ბაკალავრი (Bachelor of design) <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების 20 კრედიტის კომბინირებით, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>
---

### სწავლების ენა

ქართული
---------

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
--

### პროგრამის აღწერა

<p>პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. სტუ-ში 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. აქ იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 4 წელი და მოიცავს 8 სემესტრს. ერთი აკადემიური წელი წარმოადგენს 2 სემესტრის ერთობლიობას. ის მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს. სემესტრი თავის მხრივ არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს. ასევე ითავსებს ერთ შუასემესტრულ გამოცდას. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში. სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 45 საათს. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან 15 სასწავლო კვირას (სააუდიტორიო მეცადინეობები), 4 სასესიო კვირას (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები), ასევე ერთ შუასემესტრული გამოცდისთვის განკუთვნილ კვირას. ერთი სემესტრი საშუალოდ მოიცავს 30 კრედიტს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება</p>
---

რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 10), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60. ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას (ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება, სემინარზე აქტივობა და სხვ.). შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა.

240 კრედიტიანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოსის დიზაინი“ მოიცავს ძირითადი საგნების 220 კრედიტს, აქედან უცხოური ენის კომპონენტს ეთმობა 6 კრედიტი (არჩევითი უცხოური ენები: ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული), ჰუმანიტარულ სასწავლო კურსებს - 3 კრედიტი (7 საგნიდან სტუდენტი ირჩევს ერთს), სპეციალობის არჩევით საგნებს - 5 კრედიტი (სამი საგნიდან სტუდენტი ირჩევს ერთს), საწარმოო პრაქტიკას - 8 კრედიტი და საბაკალავრო პროექტს - 10 კრედიტი. პროგრამა ასევე მოიცავს არჩევით თავისუფალ კომპონენტებს (10 საგანი, სულ 49 კრედიტი), რომელთაგან სწავლების VIII სემესტრში სტუდენტი ირჩევს 20 კრედიტის ფარგლებში მისთვის სასურველ საგნებს.

### პროგრამის მიზანი

ბაკალავრის მომზადება მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა დიზაინსა და ტექნოლოგიაში. პროგრამის მიზანია მისცეს ბაკალავრს ინტეგრირებული ცოდნა როგორც მხატვრულ-ტექნიკურ მოდელირებაში, ასევე თანამედროვე ნოვატორულ და კრეატიულ ტექნოლოგიებში. ბაკალავრი მზად იქნება მოდური ტენდენციების, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მიღწევების, კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული მიმდინარეობების გამოყენებით თანამედროვე ნაწარმის მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარებისათვის, მასიური და სერვისის საწარმოებში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ტექნოლოგიური სამუშაოების წარმართვისათვის.

### სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

#### ცოდნა და გაცნობიერება:

- მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა დიზაინისა და ტექნოლოგიის მიმართულებით სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრეპტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავებისათვის აუცილებელი უნარების გამოუმუშავებას, ასევე პროფესიული ესთეტიკისა და ეთიკის პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.
- **მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა დიზაინისა და ტექნოლოგიური დამუშავების თეორიული ცოდნა;**
- საინჟინრო დიზაინისა და ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნა.
- საინჟინრო დიზაინის და ტექნოლოგიის მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული შეფასება.
- დიზაინისა და ტექნოლოგიის პრობლემების ანალიტიკური კვლევისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების, ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება.
- დარგის საწარმოთა მოქნილი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნიკის ცოდნა.
- ნაწარმის დაგეგმარებისათვის საჭირო მხატვრული და მოცულობითი ფორმების უნარების ცოდნა.
- გამოყენებითი ანტროპოლოგიის, ბიომექანიკის, კონსტრუირების და მხატვრული მოდელირების ურთიერთკავშირის გაცნობიერება.
- ნაწარმის დამუშავების კრეატიული ტექნოლოგიების გააზრება.
- მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროების: ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (ბრენდინგი, პიარი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი); დარგის მენეჯმენტი (პროექტ მენეჯმენტი, კორპორაციული მენეჯმენტი, თვითმენეჯმენტი, ბიზნესის

ადმინისტრირება) ურთიერთკავშირის გაცნობიერება.

- დიზაინისა და ტექნოლოგიური ტერმინოლოგიის ცოდნა.
- სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზისათვის, განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისა და გრაფიკული დაგეგმარებისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება.
- დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროში პრობლემების გადასაჭრელად სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება;
- დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- მსუბუქი მრეწველობის დარგში დიზაინისა და ტექნოლოგიის მიმართულებით მხატვრული, ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიება, დამუშავება პრაქტიკული გამოყენების მიზნით;
- მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, განრიგების შედგენისა და განსაზღვრულ ვადებში სამუშაოს შესრულების უნარი.
- ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარი.
- მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მოდელირების, კონსტრუირების და ტექნოლოგიური დამუშავების უნარი.

**დასკვნის უნარი:**

- მსუბუქი მრეწველობის პრობლემების გადასაწყვეტად სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განმარტება და ანალიზი. სტანდარტული ან ზოგიერთი გამორჩეული კრეატიული მეთოდის გამოყენების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- თანამედროვე ტენდენციების შეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება, განზოგადებული დასკვნების გაკეთება და პროგნოზირება.

**კომუნიკაციის უნარი:**

- დასახული მიზნის მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენაზე.

**სწავლის უნარი:**

- სწავლის მიმართულების განსაზღვრა გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება;
- საკუთარი სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენის უნარი.

**ღირებულებები:**

- დიზაინისა და ტექნოლოგიის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;
- პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

- ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  
 პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
5. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.
6. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
  - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
  - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
  - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
  - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
7. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
8. დემონსტრირების მეთოდი – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე

სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

9. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
10. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
11. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
12. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
13. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
14. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
15. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
17. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამალავს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## დასაქმების სფერო

- მსუბუქი მრეწველობისა და ინდივიდუალური დაკვეთის საწარმოები;
- დიზაინერული სალონები;
- შემოქმედებითი სახელოსნოები;
- დიზაინ-სტუდიები;
- საფირმო ბრენდის მაღაზია - სალონები;
- ხარისხის ინსპექტირების სპეციალისტებად ფირმებში.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 68

## პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			I წელი				II წელი					
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	არ აქვს	5									
2	მხაზველობითი გეომეტრია	არ აქვს	3									
3	ზოგადი ქიმია	არ აქვს	4									
4	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	არ აქვს	6									
5	აკადემიური ხატვა	არ აქვს	6									

6	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	არ აქვს	3										
7	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>												
7.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს	3										
7.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს											
7.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს											
7.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს											
8	ფერთამცოდნეობა	არ აქვს	5										
9	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა (AutoCAD)	არ აქვს	7										
10	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	აკადემიური ხატვა	7										
11	სტილი და მოდა	არ აქვს	5										
12	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>												
12.1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	ინგლისური ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1	3										
12.2	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	რუსული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1											
12.3	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	გერმანული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1											
12.4	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	გერმანული ენა ტექნიკ. სპეციალობებისათვის - 1											
13	<b>არჩევითი საგნები N1 (ჰუმანიტარული)</b>												
13.1	ფილოსოფიის საფუძვლები	არ აქვს	3										
13.2	სოციოლოგიის შესავალი	არ აქვს											
13.3	აკადემიური წერის ელემენტები	არ აქვს											
13.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	არ აქვს											
13.5	საქართველოს ისტორია	არ აქვს											
13.6	კოლტურა და თანამედროვეობა	არ აქვს											
13.7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს											
14	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	არ აქვს		5									
15	კომპოზიციის საფუძვლები - 1	არ აქვს		6									
16	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	არ აქვს		5									

17	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	არ აქვს			10				
18	არქიტექტონიკა	არ აქვს			4				
19	შრომის დაცვის საფუძვლები	არ აქვს				3			
20	სამოსის ჰიგიენა	არ აქვს				4			
21	კომპოზიციის საფუძვლები - 2	კომპოზიც. საფუძვლ. - 1				5			
22	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	არ აქვს				4			
23	დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)	არ აქვს				5			
24	დარგის საწარმოო ტექნიკა	არ აქვს				4			
25	ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)	არ აქვს				5			
26	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	არ აქვს					5		
27	ტექსტილის ნაწარმის სპეც. კომპოზიცია	კომპოზიც. საფუძვლ. - 2					5		
28	გამოყენებითი ანტროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	არ აქვს					5		
29	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	არ აქვს					5		
30	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	არ აქვს					5		
31	<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>								
31.1	ქართული ეროვნული სამოსისა და ხალხური რეწვის ნაწარმის სპეცკომპოზიცია	არ აქვს							
31.2	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს					5		
31.3	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	არ აქვს							
32	ტყავის მასალათმცოდნეობა	არ აქვს						5	
33	ტყავის ნაკეთობათა სპეც. კომპოზიცია	კომპოზიც. საფუძვლ. - 2						5	
34	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	არ აქვს						5	
35	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	არ აქვს						5	
36	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგ. დამუშავება						5	



37	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	გამოყენებ. ანტროპოლოგია და ბიომექანიკ. საფუძვლები							5	
38	სამოსის მხატვრული მოდელირება	არ აქვს							4	
39	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგ. დამუშავება							5	
40	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	ტყავის ნაწარმის კონსტრუირ. საფუძვლები (ანტროპომეტრია)							5	
41	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	სამოსის წარმოების თანამედრ. მანქანები და მათი პრაქტ. გამოყენება							4	
42	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	ტყავის ნაწარმის კონსტრუირ. საფუძვლები (ანტროპომეტრია)							4	
43	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგ; ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია							8	
44	საბაკალავრო პროექტი	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში								10
45	<b>თავისუფალი კომპონენტები</b>									20
45.1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	არ აქვს								5
45.2	ხალიჩებისა და ფარდაების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	არ აქვს								5
45.3	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების დების ტექნოლოგია	არ აქვს								5
45.4	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	არ აქვს								5
45.5	აქსესუარების მასალაში შესრულება	არ აქვს								5

45.6	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	არ აქვს								5
45.7	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	არ აქვს								5
45.8	კომპიუტერული მოდელირება - 3D	არ აქვს								6
45.9	თექა, მასალაში შესრულება	არ აქვს								4
45.10	დიზაინის ინჟინრული უზრუნველყოფის საფუძვლები	არ აქვს								4
<b>სემესტრში</b>			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>წელიწადში</b>			<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>	
<b>სულ</b>			<b>240</b>							

**სწავლის შედეგების რუკა**

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	+	+			+	
2	მხაზველობითი გეომეტრია	+	+			+	
3	ზოგადი ქიმია	+	+		+	+	
4	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	+	+			+	
5	აკადემიური ხატვა	+	+		+		+
6	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	+		+	+	+	
7	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	+	+		+	+	
8	ფერთამცოდნეობა	+	+	+	+		
9	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა (AutoCAD)	+	+			+	
10	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	+	+		+		+
11	სტილი და მოდა	+	+		+		
12	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	+	+		+	+	
13	ფილოსოფიის საფუძვლები	+	+				+
	სოციოლოგიის შესავალი	+	+	+			+

	აკადემიური წერის ელემენტები	+	+		+		
	შესავალი ფსიქოლოგიაში	+	+		+		
	საქართველოს ისტორია	+	+	+	+		
	კოლტურა და თანამედროვეობა	+	+				+
	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+		+		
14	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	+	+	+			
15	კომპოზიციის საფუძვლები - 1	+	+			+	
16	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	+	+			+	
17	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	+	+			+	+
18	არქიტექტონიკა	+	+	+			
19	შრომის დაცვის საფუძვლები	+	+				
20	სამოსის ჰიგიენა	+	+	+			
21	კომპოზიციის საფუძვლები - 2	+	+			+	
22	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	+	+	+			
23	დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)	+	+	+			
24	დარგის საწარმოო ტექნიკა	+	+	+			
25	ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)	+	+	+			
26	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	+	+	+		+	
27	ტექსტილის ნაწარმის სპეც. კომპოზიცია	+	+	+			
28	გამოყენებითი ანტროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	+	+	+		+	
29	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	+	+	+			
30	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	+	+			+	
31	ქართული ეროვნული სამოსისა და ხალხური რეწვის ნაწარმის სპეცკომპოზიცია	+	+			+	
	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	+	+	+			+
	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	+	+	+			+
32	ტყავის მასალათმცოდნეობა	+	+	+		+	
33	ტყავის ნაკეთობათა სპეც. კომპოზიცია	+	+	+			
34	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	+	+	+		+	
35	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	+	+	+			
36	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	+	+	+			
37	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	+	+	+			+
38	სამოსის მხატვრული მოდელირება	+	+			+	
39	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	+	+	+			
40	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	+	+				+
41	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	+	+	+		+	
42	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	+	+	+		+	
43	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის	+	+		+		

	ნაკეთობათა საწარმოებში							
44	საბაკალავრო პროექტი	+	+	+	+	+	+	+
45.1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	+	+				+	+
45.2	ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	+	+				+	
45.3	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების ლებვის ტექნოლოგია	+	+				+	+
45.4	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	+	+	+				+
45.5	აქსესუარების მასალაში შესრულება	+	+				+	
45.6	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	+	+				+	
45.7	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	+	+				+	+
45.8	კომპიუტერული მოდელირება - 3D	+	+				+	
45.9	თექა, მასალაში შესრულება	+	+				+	
45.10	დიზაინის ინჟინრული უზრუნველყოფის საფუძვლები	+	+	+				

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	MAS34308G1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5/125	15		30					1	2	77
2	EET70105G1	მხაზველობითი გეომეტრია	3/75	15		15					1	1	43
3	PHS16404G1	ზოგადი ქიმია	4/100	15			15				1	1	68
4	ART12006G1	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	6/150				60				1	1	88
5	ART31606G1	აკადემიური ხატვა	6/150			90					2	2	56
6	HEL20906G1	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3/75	15	15						1	1	43
7	LEH14412G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30					1	1	43
	LEH14612G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30					1	1	43
	LEH15012G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30					1	1	43
	LEH14812G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75			30					1	1	43

8	AAC60106G1	ფერთამცოდნეობა	5/125	15					30	1	2	77
9	ICT12806G2	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა (AutoCAD)	7/175				60			1	1	113
10	ART31706G1	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	7/175			90				2	2	81
11	ART16106G1	სტილი და მოდა	5/125	15	30					1	1	78
12	LEH14512G1	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH14712G1	რუსული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH15112G1	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
	LEH14912G1	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 2	3/75			30				1	1	43
13	HEL30212G1	ფილოსოფიის საფუძვლები	3/75	15	15					1	1	43
	SOS40312G1	სოციოლოგიის შესავალი	3/75	15	15					1	1	43
	LEH12112G1	აკადემიური წერის ელემენტები	3/75	15	15					1	1	43
	SOS30312G1	შესავალი ფსიქოლოგიაში	3/75	15	15					1	1	43
	HEL20212G1	საქართველოს ისტორია	3/75	15	15					1	1	43
	SOS40112G1	კოლტურა და თანამედროვეობა	3/75	15	15					1	1	43
	LEH12012G1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3/75	15	15					1	1	43
14	ART12206G1	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	5/125	15	30					1	1	78
15	ART12306G1	კომპოზიციის საფუძვლები - 1	6/150			60				1	1	88
16	ART12606G1	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	5/125	15	30					1	1	78
17	ART12706G1	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	10/250	15		60				2	2	171
18	ART13006G1	არქიტექტონიკა	4/100			30				1	1	68
19	HHS20303G1	შრომის დაცვის საფუძვლები	3/75	15			15			1	1	43
20	ART12506G1	სამოსის ჰიგიენა	4/100	15	15					1	1	68
21	ART12406G1	კომპოზიციის საფუძვლები - 2	5/125			45				1	1	78
22	ART12806G1	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	4/100	15	15					1	1	68
23	ART12906G1	დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)	5/125	15	30					1	1	78
24	ART13106G1	დარგის საწარმოო ტექნიკა	4/100	15		15				1	1	68
25	ART16206G1	ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)	5/125	15	30					1	1	78
26	MAP30106G1	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	5/125	15		15	15			1	1	78
27	ART13406G1	ტექსტილის ნაწარმის სპეც.	5/125			45				1	1	78

		კომპოზიცია										
28	ART13706G1	გამოყენებითი ანტროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	5/125	15		30			2	2	76	
29	ART16306G1	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	5/125	15		30			2	2	76	
30	ART14606G1	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	5/125	15		30			2	2	76	
31	ART15006G1	ქართული ეროვნული სამოსისა და ხალხური რეწვის ნაწარმის სპეცკომპოზიცია	5/125			45			1	1	78	
	MAP30306G1	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	15		30			1	1	78	
	ART15306G1	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	5/125	15		30			1	1	78	
32	ART13306G1	ტყავის მასალათმცოდნეობა	5/125	15		15	15		2	2	76	
33	ART13506G1	ტყავის ნაკეთობათა სპეც. კომპოზიცია	5/125			45			1	1	78	
34	MAP30206G1	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები (ანტროპომეტრია)	5/125	15		30			1	1	78	
35	ART13906G1	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	5/125	15		15	15		2	2	76	
36	ART14006G1	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	5/125	15		30			1	1	78	
37	ART14206G1	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	5/125	15		30			1	1	78	
38	ART13606G1	სამოსის მხატვრული მოდელირება	4/100	15		15			1	1	68	
39	ART14106G1	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	5/125	15		30			1	1	78	
40	ART14306G1	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	5/125	15		30			1	1	78	
41	ART14706G1	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4/100	15		15			1	1	68	
42	ART14806G1	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4/100	15		15			1	1	68	
43	ART14906G1	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	8/200				75		1	1	123	
44	ART16406G1	საბაკალავრო პროექტი	10/250					75	6	6	163	
45.1	ART15906G1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	5/125			45			1	1	78	
45.2	ART14506G1	ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	5/125			45			1	1	78	
45.3	ART15106G1	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების დების ტექნოლოგია	5/125	15		30			1	1	78	
45.4	MAP30406G1	აქსესუარების მხატვრულ-	5/125	15		30			1	1	78	

		ტექნიკური დაგეგმარება										
45.5	ART15506G1	აქსესუარების მასალაში შესრულება	5/125			45				1	1	78
45.6	ART15606G1	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	5/125	15	30					1	1	78
45.7	ART16006G1	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	5/125			45				1	1	78
45.8	ART15706G1	კომპიუტერული მოდელირება - 3D	6/150	15			45			1	1	88
45.9	ART15806G1	თეკა, მასალაში შესრულება	4/100			30				1	1	68
45.10	ART12106G1	დიზაინის ინჟინრული უზრუნველყოფის საფუძვლები	4/100	15		15				1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელი

ლია ლურსმანაშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

**მიღებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N7) 30 ივნისი 2014 წელი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მოდირიგებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N30) 29 მარტი 2018 წელი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე